საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავალი მარინო

კავალი (Cavalli) მარინო, XVI ს. ვენეციელი დიპლომატი. ელჩი „საღვთო რომის“ იმპერატორთან საფრანგეთში (1543), კონსტანტინოპოლში (1560), რომში (1566). იგი თავისი დიპლომატიური საქმიანობის შესახებ ვენეციის სენატში პერიოდულად წარადგენდა „რელაციებს“, რ-ებიც დღეს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. მან დაგვიტოვა საინტერესო ცნობა ოდიშის მთავარ ლევან I დადიანის კონსტანტინოპოლში მოგზაურობის შესახებ (დაახლ. 1557), რ-მაც სულთანს დახმარება სთხოვა იმერეთის მეფის გიორგისა და გიორგი გურიელის კოალიციის წინააღმდეგ. სულთანმა მას 9 ხომალდი აჩუქა, მისცა დამხმარე ჯარი და ისე გამოისტუმრა.

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981.

ე. მამისთვალიშვილი